



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№1107

2016 წლის 4 ოქტომბერი

ქ.ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის წარმოდგენილი მასალების განმხილვევი კომისიის შექმნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 სექტემბრის N1044 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

**მუხლი 1.** შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 სექტემბრის N1044 ბრძანებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის წარმოდგენილი მასალების განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ“. კერძოდ, კომისიის შემადგენლობიდან ამოღებული იქნას კომისიის წევრი - ივანე მანაგაძე (ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი), ხოლო კომისიას მის ნაცვლად დაემატოს წევრი - გიორგი მჭედლიშვილი (ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი).

**მუხლი 2.** კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი ბოკერია - გამგებლის პირველი მოადგილე;

კომისიის წევრები:

- ა) იოსებ ტყემალაძე - გამგებლის მოადგილე;
- ბ) ალექსი ჭავჭავაძე - გამგებლის მოადგილე;
- გ) გიორგი მჭედლიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
- დ) ნინო ბატიაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
- ე) გიორგი მანგოშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი;
- ვ) ივანე ყაველაშვილი - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი.

**მუხლი 3.** ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

**მუხლი 4.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი: გამგებელი: გამგებელი:

